საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/215 „ 1 „ დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებმა მიხეილ ბებიაშვილმა და ქეთევან თხელიძემ, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეა თაყაძემ და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლე გვანცა ვარდანიძემ 2020 წლის 26 და 27 ნოემბრის წერილებით აცნობეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე მათ არ აქვთ საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ბებიაშვილს;“;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:
„ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძეს.“;

გ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეა თაყაძეს;“;

დ) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:
„ბ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლე გვანცა ვარდანიძეს.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი